



დაიცავი თავი და
პაციენტები გრიპისგან
ჩაიტარე აცრა

თუ ხარ ჯანდაცვის მუშაკი, გრიპის ვირუსით ინფიცირების უფრო დიდი რისკი გაქვს, ვიდრე ზოგადად მოსახლეობას.

მედიცინის მუშაკებს, პროფესიიდან გამომდინარე, მოსახლეობასთან შედარებით, გრიპის ვირუსით ინფიცირების უფრო მაღალი რისკი აქვთ. თუ მედიცინის მუშაკი ხარ შეიძლება გრიპით დაინფიცირდე შენი კოლეგებისა და პაციენტების მხრიდან

კვლევებმა აჩვენა, რომ გრიპის ეპიდაფეთქებების დროს ჯანმრთელი მედიცინის მუშაკების ნახევარზე მეტი გრიპიანი პაციენტებისაგან ლებულობენ ვირუსს. ყოველწლიურად სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია წარმოადგენს შენთვის თავდაცვის საუკეთესო საშუალებას.




შენ თუ გრიპის ვირუსით დაინფიცირდები, შეიძლება ვირუსი გადასდო პაციენტებს.

კვლევებმა აჩვენა, რომ მედიცინის მუშაკმა შეიძლება გრიპის ვირუსი გადასცეს პაციენტებს, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველები არიან გრიპის გართულებებისაგან. გრიპი განსაკუთრებით საშიშია: ბავშვების, ასაკოვანი ადამიანების, იმუნოდეპრესიული და სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მქონე პირთათვის. ზოგიერთ პაციენტს შეიძლება განუვითარდეს სიცოცხლისათვის საშიში გართულება. კვლევებით დაფიქსირდა მედიცინის მუშაკის მიერ გრიპის ვირუსის გადაცემის გამო გარდაცვალების ფაქტები ნეონატალური ინტენსივობისა და ბავშვთა ონკოლოგიურ განყოფილებებში.

იმის გამო, რომ მედიცინის მუშაკები თავისი საქმის ერთგულები არიან, ისინი ავადმყოფობის დროსაც კი დადიან სამსახურში და ამით ზრდიან გრიპის ვირუსის გადაცემის რისკს

გარდა ამისა გრიპი ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს და ამდენად შეიძლება გაავრცელოთ ის მაშინაც კი როცა თავს კარგად გრძობთ. ეს დადასტურდა ერთერთი კვლევით, როცა მედიცინის მუშაკებმა არ იცოდნენ, რომ გრიპის ვირუსით იყვნენ ინფიცირებულნი. გრიპის საწინააღმდეგო აცრები მოგცემთ საშუალებას იყოთ თავდაჯერებული, რომ დაუცველ პაციენტებს არ გადასდებთ მას.



როცა მედიცინის მუშაკი ავადმყოფობის გამო ვერ მიდის სამსახურში, ამით პაციენტები ზარალდებიან.

სეზონური გრიპის დროს სამედიცინო პერსონალის ავადმყოფობა უარყოფითად აისახება პაციენტების მკურნალობაზე. ასევე, ამის გამო შესაძლოა გაიზარდოს ჯანდაცვის ხარჯები. თუ სამედიცინო პერსონალის დიდი ნაწილი გრიპის გამო გადავა საავადმყოფო ფურცელზე, ამან შეიძლება გამოიწვიოს ჯანდაცვის მომსახურებაში მნიშვნელოვანი პრობლემები, მათ შორის გადაუდებელი დახმარების შეფერხებაც.

**ჯანდაცვის მსოფლიო
ორგანიზაცია მოუწოდებს
მედიცინის მუშაკებს,
ყოველწლიურად,
შემოდგომაზე ჩაიტარონ
სეზონური გრიპის
საწინააღმდეგო აცრები.**



ვაქცინაცია უსაფრთხოა
www.euro.who.int/en/fluaware